კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი (Minor) Design of interior and textile
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	-
ფაკულტეტის დასახელება	საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი	ტ.მ.დ., პროფესორი მაია შარაბიძე
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 60 კრედიტი, 6 სემესტრი მათ შორის: - სავალდებულო კურსები - 50 კრედიტი - არჩევითი კურსები - 10 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	პროგრამა შემუშავებულია 2018 წელს

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსი. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება აწსუ ნორმატიული დოკუმენტის - მაინორ პროგრამის არჩევის წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია შესძინოს სტუდენტს ახალი დამატებითი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები სხვადასხვა სტილისა (ისტორიული, თანამედროვე, ეთნიკური) და დანიშნულების (საცხოვრებელი, სამუშაო და დასასვენებელი) ინდივიდუალური (სახლი, ბინა, აგარაკი და ა.შ.) და საზოგადოებრივი (სასტუმრო, კაფე-რესტორანი, ოფისი და ა.შ.) ნაგებობის ინტერიერისა და მასში გამოყენებული ტექსტილის დიზაინის მიმართულებით.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)
(სწავლის შედეგების რუქა ახლავს დანართის 2 სახით)

ცოდნა და გაცნობიერება	• საზღვრავს და დეტალურად აყალიბებს ფერის ფიზიკური არსს, აცნობიერებს და აღწერს ფერის მიღების მეთოდებს და ფერთა სივრცეების თვისებებს, შეიცნობს ფერის აღქმის ფიზიოლოგიურ თავისებურებებს და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, იცის ფერთა ჰარმონიის კანონზომიერებები და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები; • ამოიცნობს და ასახელებს ფუნქციონალური ინტერიერის სახეებს, აღწერს სივრცის ორგანიზებისა და სტრუქტურის განაწილების პრინციპებსა და წესებს, ასახელებს და აღწერს ინტერიერის სივრცის სტრუქტურულ ელემენტებს (ჭერი, იატაკი, ტიხრები, კიბე და პოდიუმი, თაღები), აღწერს, ადარებს და აფასებს ფუნქციური ინტერიერის შექმნისათვის გამოყენებულ ძირითად და დამხმარე მასალებს; • აღწერს დეკორატიული ქსოვილების ჯგუფებს; ჩამოთვლის ფარდაგის, ხალიჩის და გობელენს შორის დეტალურ განსხვავებებს; აღწერს ქსოვის ტექნიკას და გამოსაყენებელ ხელსაწყოებს; აფასებს სხვადასხვა სახის ნედლეულს; ადარებს ფარდაგის, ხალიჩის და გობელენის ქსოვის ტექნოლოგიას; არჩევს ნართის სახეს და

	კოლორისტიკას ფარდაგის, ხალიჩის და გობელენის ქსოვისათვის; • ასახელებს და აღწერს ინტერიერის სტილის სახეებს, შეიცნობს სტილის შერჩევის პრინციპებსა და წესებს, განსაზღვრავს და განმარტავს სხვადასხვა სტილის (თანამედროვე, ისტორიული, ეთნიკური) თავისებურებებს; • იცის ეთნოდიზაინის ელემენტების სახეები და მათი წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური საწყისები, შეიცნობს მათ თავისებურებებსა და ძირითად მახასიათებლებს; • ახდენს სხვადასხვა სტილისა და დანიშნულების ინტერიერში გამოყენებული ფუნქციური ტექსტილის სახეების დემონსტრებას, აღწერს მათ სამომხმარებლო თვისებებს კონტროლისა და მოვლის მეთოდებს და დამზადების ხერხებს; • შეიცნობს და განსაზღვრავს ორნამენტის ნახატის და ტრიკოტაჟის ტილოს ხლართის სტრუქტურის დაკავშირების გზებს; • აღწერს სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ინტერიერების, აივნების, სახურავების, მცირე ზომის ბაღების გამწვანების ძირითად წესებსა და მეთოდებს; სხვადასხვა დანიშნულების და სტილის თაიგულებისა და კომპოზიციების შექმნის ზოგად წესებსა და მიდგომებს, შესრულების მეთოდებს; იკებანას და ბონსაის ხელოვნების ძირითად არსს; სხვადასხვა თემატური ექსპოზიციების მოწყობის წესებს; აცნობიერებს შენობების შიგა სივრცეებში მცენარეების არსებობის მნიშვნელობას ესთეტიკურად სრულფასოვანი და ჯანმრთელი გარემოს შექმნაში; • ჩამოთვლის და განსაზღვრავს ივენთების სახეებს და აღწერს მათ თავისებურებებს; • ჩამოთვლის და აღწერს სამეწარმეო საქმიანობის საბაზისო ცნებებს, ტერმინებს და განმარტებებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	• ხაზავს ბრტყელ და სივრცით ობიექტებს, ტექნიკურ ნახატებსა და ესკიზებს; • ქმნის აქრომატულ და ქრომატულ კომპოზიციებს ფერთა ჰარმონიული შერწყმისა და ფერის ინტერიერში გამოყენების კანონზომიერებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით; • ინტერიერის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე შეუძლია სტრუქტურული ელემენტებისა და მასალების მართებულად შერჩევა და ინტერიერის სივრცისა და სტრუქტურის მართებულად, გონივრულად და ოპტიმალურად ორგანიზება და განაწილება გეგმაზე; • ამზადებს მცირე ზომის თექის პანოებსა და ნაკეთობებს, ბატიკებს სხვადასხვა ხერხით; • შეუძლია სხვადასხვა სტილისა და დანიშნულების ინტერიერში გამოყენებული ტექსტილის მართებულად შერჩევა და ტექსტილის დეკორატიული ნაკეთობების დამზადება; • იყენებს ქსოვის სხვადასხვა მეთოდებს; ამზადებს ქსოვისათვის საქსოვ დაზგას, ხელსაწყოებს და ნედლეულს; ითვლის ქსელის ძაფების რაოდენობას ესკიზის შესაბამისად; შეუძლია სხვადასხვა ხერხით მცირე ზომის ფარდაგების, ხალიჩებისა და გობელენის შექმნა; • ქმნის რელიეფურ, აჟურულ, ფერად, კომბინირებული ფაქტურების მქონე ტრიკოტაჟულ ტილოებს; • შეუძლია მართებულად შეირჩიოს ინტერიერის სტილი მისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე; • ქმნის ესკიზებს ინტერიერში ეთნოდიზაინის ელემენტისა და მოტივების გამოყენებით; • შეუძლია სხვადასხვა დანიშნულებისა და ზომის შენობების შიგა სივრცეების, ტერასების, აივნების გაფორმების პროექტების შექმნა მცენარეების და სხვა დამხმარე ელემენტების მეშვეობით; პროექტების შესაბამისად სივრცეების პრაქტიკული გაფორმება ოთახის მცენარეების, ღია გრუნტის მცირე ზომის მერქნიანი მცენარეების, მოჭრილი ყვავილებით შექმნილი კომპოზიციების, აგრეთვე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების, ავეჯის და სხვა ელემენტების გამოყენებით; სხვადასხვა დანიშნულების, სტილის და სირთულის თაიგულების, კომპოზიციების

	შექმნა; სხვადასხვა თემატური ექსპოზიციების და სცენის გაფორმება; • მართებულად და გონივრულად შეირჩევს და ასაბუთებს სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ინტერიერისთვის სტილსა და ფერს, ინტერიერში გამოყენებული ინვენტარის მასალებსა და ტექსტილს; შეუძლია სხვადასხვა სახის ივენთების ორგანიზების ღონისძიებების დასახვა, მომზადება, დიზაინის სტილის შერჩევა და ესკიზების სახით ილუსტრირება; • შეუძლია პირობითად აღებული საწარმოსათვის ბიზნეს-გეგმისა და აუცილებელი დოკუმენტაციის შემუშავება.
დასკვნის უნარი	• შეძენილი ცოდნისა და მოპოვებული ინფორმაციის განზოგადების საფუძველზე შეუძლია კომპეტენტური დასკვნის გაკეთება კონკრეტული დანიშნულების ფუნქციური ინტერიერის შექმნისთვის განსახორციელებელი პრაქტიკული სამუშაოს შესახებ; • ანალიზის შედეგად ერთმანეთისგან განასხვავებს და აღწერს სხვადასხვა სტილისა და დანიშნულების ინტერიერში გამოყენებულ ტექსტილს და ახდენს მათ კატეგორიზაციას, აკეთებს დასკვნას კონკრეტული ინტერიერისთვის ტექსტილის სათანადო სახეობის შერჩევის შესახებ; • ახდენს დეკორატიული ქსოვილების კატეგორიზაციას და შედარებას; ასაბუთებს ქსოვის ტექნიკას და ნედლეულის გამოყენებას; ახდენს ფარდაგის, ხალიჩის და გობელენის სივრცეში განლაგების დაგეგმვას და ინტერიერთან დაკავშირებას; • ანალიზის შედეგად ერთმანეთისგან განსხვავებს და აღწერს ტრიკოტაჟულ ხლართებს, ახდენს მათ კატეგორიზაციას და კონკრეტული ამოცანისათვის ეფექტური სახეობის შერჩევას; • შეუძლია დასკვნის გაკეთება კონკრეტული შემთხვევისათვის ინვენტარის მასალებისა და ტექსტილის ნედლეულის ოპტიმალურად შერჩევის თაობაზე; • აანალიზებს არსებული პირობების ერთობლიობას (ინტერიერის ზომებს, კედლების და ჭერის შეფერილობას, განათების შესაძლებლობებს, ფუნქციონალურ დანიშნულებას და სხვა) ინტერიერების და მცირე ზომის ბაღების ფლორისტული გაფორმების პროექტების შექმნის პროცესში და ამის გათვალისწინებით წყვეტს ობიექტის კომპოზიციურ გაფორმებას, არჩევს მცენარეთა შესაბამის ასორტიმენტს; თაიგულების და კომპოზიციების მიზნობრივი დანიშნულებისა და გაფორმების საერთო ხედვის გათვალისწინებით არჩევს მცენარეთა ასორტიმენტს (მათი ფერების, ფორმების, ზომების შესაბამისად), ლარნაკებს, აქსესუარებს და სხვა; ექსპოზიციის თემატიკისა და დანიშნულების გათვალისწინბით იღებს გაფორმების ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, არჩევს მცენარეთა შესაბამის ასორტიმენტს, სხვა დამხმარე მასალებსა და ელემენტებს; სცენაზე მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით გაფორმებისათვის არჩევს ქოთნის და მოჭრილი მცენარეების ასორტიმენტს, სხვა დამხმარე მასალებს. აანალიზებს სცენაზე მათი სწორი განლაგებისა და კომპოზიციური გადაწყვეტის საკითხებს. აცნობიერებს ადამიანის საცხოვრებელ გარემოში მცენარეების არსებობის მნიშვნელობას ესთეტიკურად სრულფასოვანი და ჯანმრთელი გარემოს შექმნაში; • ანალიზის შედეგად შეუძლია კონკრეტული შემთხვევისათვის ივენთის სახეობის და მისი დიზაინერული გაფორმების სტილის გონივრულად და მართებულად შერჩევა; • შესწავლილი მასალის საფუძველზე შეუძლია სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება.
კომუნიკაციის უნარი	• შეუძლია საკუთარი სამუშაოს წარმოჩენა თანაკურსელებისა და პედაგოგების წინაშე; • შეუძლია საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი ეთნოდიზაინის ელემენტების შესახებ დისკუსიაში ჩართვა და პრეზენტაციების გაკეთება;
სწავლის უნარი	• ინფორმაციის დიფერენცირებისა და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე

	შეუძლია შეძენილი ცოდნის ობიექტურად შეფასება და დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა; • ესმის პროფესიული ზრდისა და სრულყოფისათვის საკუთარი კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლების აუცილებლობა.
ღირებულებები	• წარმატებისა და კეთილდღეობის საფუძვლად მიიჩნევს კარგ განათლებას და მუყაით შრომას; • საავტორო კოლექციის შექმნის პროცესში გონივრულად და მართებულად იყენებს ეთნოდიზაინის მოტივებს, ნიშნებსა და ელემენტებს, რითაც პოპულარიზაციას უწევს ეროვნულ კულტურას.

სწავლების მეთოდები

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტისათვის სწავლების ისეთი პროცესის ორგანიზებას, რომელიც უზრუნველყოფს:

- ✓ ძირითადი საბაზისო კურსების დაუფლებას;
- ✓ არჩევითი კურსების შესწავლას;
- ✓ წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეძენას.

პროგრამაში მთავარი ყურადღება ექცევა თეორიული და სპეციალური პრაქტიკული ცოდნის სინთეზს, რისთვისაც გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. პროგრამის განხორციელებისას აპრობირებული და დანერგილია სწავლების ფორმები: ლექცია, ჯგუფში მუშაობა (პრაქტიკული სამუშაო, ლაბოატორიული სამუშაო), დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც გამოიყენება სწავლების აქტიური მეთოდები:

ვერბალური ანუ ზეპირი მეთოდი გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა–პასუხის, ინტერაქტიური მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები;

დემონსტრირების მეთოდი გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას და ეხმარება ლექტორს სასწავლო მასალის თვალსაჩინოდ წარმოდგენაში. შესაძლოა, მასალა ერთდროულად ელექტროტექნიკური და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება ხორციელდება როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ;

ახსნა–განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მოცემული საკითხის ირგვლივ მსჯელობას. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

გუნდური მუშაობა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანის გადაჭრის პროცესში, საერთო მიზნებისა და ინტერესების განხორციელებისას ჯგუფის თითოეული მონაწილის აქტიურ ჩართულობას, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების დანაწილების ან პრობლემაზე ერთდროულად მუშაობის ფორმით.

პრეზენტაცია ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რომლის დროსაც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. პრეზენტაციები შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა შედგება ძირითადი (50 კრედიტი) და არჩევითი კურსების (10 კრედიტი) ბლოკისაგან. არჩევითი კურსების ბლოკში შედის 4 სასწავლო კურსი (თითოეული 5 კრედიტი).

სასწავლო გეგმა წარმოდგენილი დანართის 1 სახით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესს" (2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით).

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

შეფასების სისტემა:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; q

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნით შეფასებას.

დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას; დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი შეადგენს 15 ქულას.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

დასაქმების სფეროები

მაინორ პროგრამის კურსდამთავრებულს, შეძენილი მრავალმხრივი ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით, შესაძლებლობა ექნება:

იმუშაოს

- ინტერიერის დიზაინერად დამოუკიდებლად ან სამშენებლო და დიზაინერულ ფირმებს, სალონებს, სტუდიებსა და ა.შ. ობიექტებში;
- დეკორატიულ-გამოყენებითი ტექსტილის ნაწარმის (თექა, ფარდაგი, ხალიჩა, გობელენი, ბატიკი, მხატვრული ტრიკოტაჟი) დიზაინერად.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გამოიყენება აწსუ VI კორპუსის აუდიტორიები, ტექსტილის ტექნოლოგიისა და დიზაინის მიმართულების აუდიტორიები და ლაბორატორიები, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და სტანდარტული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული ტექნიკა სტუდენტებს მისცემს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ინტერნეტის მეშვეობით ინდივიდუალური კავშირი ლექტორ- მასწავლებლებთან.

პროგრამის განმხორციელებელი პერსონალი

გვარი, სახელი	აკადემიური თანამდებობა	სასწავლო კურსები	საკონტაქტო ინფორმაცია
მაია შარაბიძე	პროფესორი ტექნიკის მეცნიერების დოქტორი	- ფერი და ინტერიერი - ფუნქციური ინტერიერის შექმნის საფუძვლები - სტილის შერჩევის საფუძვლები - საავტორო ნაშრომი	ტელეფონი:599 67-44-10, 577- 66- 84- 92 e-mail: maia.sharabidze@atsu.edu.ge
კონსტანტინე სირბილაძე	პროფესორი ტექნიკის	-საავტორო ნაშრომი	ტელეფონი: 577 13 15 21 e-mail: konstantine.sirbiladze@atsu.edu.ge

	მეცნიერების დოქტორი		
ელიზავეტა ბუაძე	ემერიტუსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი	- ფუნქციური ტექსტილის დიზაინი	ტელეფონი: 599 55 41 18 e-mail: elizaveta.buadze@atsu.edu.ge
თამარ მოსეშვილი	ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიის დოქტორი	-ინტერიერის ტექსტილის ეთნოდიზაინი -საავტორო ნაშრომი	ტელეფონი: 595 51 84 55 e-mail: tamar.moseshvili@ atsu.edu.ge
მაყვალა გოგოლაძე	ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიის დოქტორი	-სამეწარმეო საქმიანობა -საავტორო ნაშრომი	ტელეფონი: 0431- 24 98 52; 599516144 e-mail: makvala.gogoladze@atsu.edu.ge
ნანული აბესაძე	მოწვეული პედაგოგი, ინჟინერიის დოქტორი	-ფარდაგის, ხალიჩისა და გობელენის წარმოებისა და დიზაინის საფუძვლები -საავტორო ნაშრომი	ტელეფონი: 568 38 37 09 595-904408 e-mail: nanuli.abesadze@atsu.edu.ge
ქეთევან გოგინოვი	მოწვეული პედაგოგი, ინჟინერიის დოქტორი	-ფერი და ინტერიერი -დეკორატიული თექის წარმოების საფუძვლები -საავტორო ნაშრომი -ივენთების დიზაინი	ტელეფონი: 597 422 442 e-mail: ketevan.goginovi@ atsu.edu.ge
ნატო ფაილოძე	მოწვეული პედაგოგი, ინჟინერიის დოქტორი	-ფუნქციური ტექსტილის დიზაინი -საავტორო ნაშრომი -ტრიკოტაჟული ორნამენტის დიზაინი	ტელეფონი: 568 38 37 09 e-mail: nato.pailodze@atsu.edu.ge
რუსუდან ბოჭორიშვილი	მოწვეული პედაგოგი	-დეკორატიული თექის წარმოების საფუძვლები -ბატიკის წარმოების საფუძვლები -საავტორო ნაშრომი	ტელეფონი: 597 64 26 76 e-mail: rusudan.bochorishvili@atsu.edu.ge
ანზორ გვეტაძე	მოწვეული პედაგოგი	-ბატიკის წარმოების საფუძვლები	ტელეფონი: 597 60 10 16 e-mail: anzor.gvetadze@atsu.edu.ge
თამთა თურმანიძე	მოწვეული პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი	-ტექნიკური ხატვა - ესკიზები და ჩანახატები -სტილის შერჩევის საფუძვლები	ტელეფონი: 599 57 34 70 e-mail: tamta.turmanidze@atsu.edu.ge
ეთერ ბენიძე	ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი	-ინტერიერის ფიტოდიზაინი	ტელეფონი: 593 59 62 24 e-mail: eteri.benidze@atsu.edu.ge
ზაზა ჟორჟოლიანი	ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიის დოქტორი	-ტექნიკური ხატვა - ესკიზები და ჩანახატები	ტელეფონი: 577 13 15 82 e-mail: zaza.zhorzholiani@atsu.edu.ge
ამირან გრძელიშვილი	ას.პროფესორი	- ფუნქციური ინტერიერის შექმნის საფუძვლები	ტელეფონი: 0431 24 62 03, 599 16 58 37 e-mail: amiran.grdzelishvili@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

მაინორ პროგრამის დასახელება: ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლ/ჯ/გ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	სავალდებულო კურსები															
1.1.	ტექნიკური ხატვა-ესკიზები და ჩანახატები	5	125	45	3	77	0/0/0/45			5						-
1.2.	ფერი და ინტერიერი	5	125	45	3	77	15/0/30/0			5						-
1.3.	ფუნქციური ინტერიერის შექმნის საფუძვლები	5	125	45	3	77	0/0/45/0				5					-
1.4.	დეკორატიული თექის წარმოების საფუძვლები	5	125	45	3	77	0/0/0/45				5					-
1.5.	ფუნქციური ტექსტილის დიზაინი	5	125	45	3	77	15/0/0/30					5				-
1.6.	ფარდაგის, ხალიჩისა და გობელენის წარმოებისა და დიზაინის	5	125	45	3	77	0/0/0/45					5				-

	საფუძვლები															
1.7.	ბატიკის წარმოების საფუძვლები	5	125	45	3	77	0/0/0/45						5			-
1.8.	სტილის შერჩევის საფუძვლები	5	125	45	3	77	0/0/0/45						5			1.3.
1.9.	ინტერიერის ტექსტილის ეთნოდიზაინი	5	125	45	3	77	15/0/0/30							5		1.5.
1.10.	საავტორო ნაშრომი	5	125	45	3	77	0/45/0/0								5	1.4. 1.6. 1.7. 1.9.
სულ								**50**								
2	არჩევითი კურსები															
2.1.	ტრიკოტაჟული ორნამენტის დიზაინი	5	125	45	3	77	15/0/30/0							5	5	-
2.2.	ინტერიერის ფიტოდიზაინი						15/30/0/0							5	5	-
2.3.	ივენთების დიზაინი						0/0/0/45							5	5	-
2.4.	სამეწარმეო საქმიანობა						15/0/0/30							5	5	-
სულ								**10**								

დანართი 2

№	კურსის დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	დირებულებები
1.1	ტექნიკური ხატვა-ესკიზები და ჩანახატები		X				
1.2	ფერი და ინტერიერი	X	X	X	X	X	
1.3	ფუნქციური ინტერიერის შექმნის საფუძვლები	X	X	X	X		
1.4	დეკორატიული თექის წარმოების საფუძვლები		X				X
1.5	ფუნქციური ტექსტილის დიზაინი	X	X	X	X		
1.6	ფარდაგის, ხალიჩისა და გობელენის წარმოებისა და დიზაინის საფუძვლები	X	X				X
1.7	ბატიკის წარმოების საფუძვლები		X				X
1.8	სტილის შერჩევის საფუძვლები	X	X	X	X		
1.9	ინტერიერის ტექსტილის ეთნოდიზაინი	X	X	X	X		
1.10	საავტორო ნაშრომი		X	X	X	X	X
2.1	ტრიკოტაჟული ორნამენტის დიზაინი	X	X	X	X		
2.2	ინტერიერის ფიტოდიზაინი	X	X	X			
2.3	ივენთების დიზაინი	X	X	X			X
2.4	სამეწარმეო საქმიანობა	X	X	X			